შ.პ.ს. "კოდუ"

``KODU`` L.T.D.

თბილისი, ბათუმის ქ. №18 ტელეფონი: +995 32 2 10 25 50 მობ: +995 99 5 555574

№09-02/15-1

9 თებერვალი 2015 წელი

შ.პ.ს. "Real Estate Constrution" –ის დირექტორს,
ბატონ ზაზა ქოჩიაშვილს.

ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, შ.პ.ს. "Real Estate Constrution"- ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (01.72.14.034.698) დაბეგმილია მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა.

მშრავალფუნქიური შენობა შედგება 1 მიწისქვეშა და 11 მიწისზედა სართულისგან.

შენობის გაბარიტები – 34.50X23.40.

სამშენებლო ტერიტორია ზოგადი სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან ზონას.

მოცემული პირველი სართულის 0.00 ნიშნული შეესაბამება 440.35 აბსოლიტურ ნიშნულს.

საძირკველი წარმოადგენს რკინა-ბეტონის ფილას H=60სმ.

შვეტები რკ.ბეტონის მონოლითური კვ. 60X60სმ; 50X50სმ; 40X40სმ.

რიგელები რკ.ბეტონის მონოლითური კვ. 40X50 (h) სმ.

გადახურვის ფილა მონოლითური h=19 სმ.

კიბე – მონოლითური რკინა ბეტონის.

სახურავი – ბრტყელი.

შევსება წვრილი შემავსებელი b=30 სმ.

შენობის მზიდი კონსტრუქციების, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გაანგარიშება მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე

ჰორიზონტალურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე და ქარის საანგარიშო დატვირთვებზე ჩატარებულია საანგარიშო კომპლექცი ЛИРА 9.2-ს საშუალებით. გაანგარიშების მეტყველებენ მიღებული კონტრუქციული სისტემის ვარგისიანობაზე.

ქარის ზემოქმედებისას, პულსაციის გათვალისწინებით განისაზღვრა თავისუფალი რხევის სიხშირის, აჩქარებისა და გადაადგილების მნიშვნელობები, რომლებიც ხვდებიან ადამიანის მიერ არაშებრძნებადი რხევების არეში.

საპროექტო ტერიტორიას ემიჯნება რეგისტრირებული ნაკვეთები, სამხრეთით გზის მეორე მხარეს მდებარეობს სასაწყობე შენობა. ნაკვეთის ჩრდილოეთით მდებარეობს 10 სართულიანი მრავალბინიანი სახლი და 2 სართულიანი კერძო სახლი რომლებიც გენერალური გეგმის მიხედვით საკმაო მანძილებით არის დაშორებული. (იხილეთ გენ.გეგმა). გაცნობებთ, რომ ვიზუალური და ტექნიკური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებული ნაგებობების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობის წარმოება არ იქონიებს შარყოფით ზეგავლენას ირგვლივ არსებულ შენობებზე.

შ.პ.ს. . "კოდუ"–ს
დირექტორი. /კ. კვეტენაძე/

მთავარი ინჟინერი. /თ. შველიძე/